ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# მიგრაციის ეკონომიკური ზეგავლენა ეკონომიკაზე

## ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მიგრაციის და შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების ზეგავლენის მიმოხილვა


თბილისი

2017


საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
SAIA GYLA
Georgian Young Lawyers' Association

CIPDD
25 YEARS

გამოცემა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის **კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება** ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ.

**ავტორი:** კევინ რ. სმიტი

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია & მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

## სარჩევი

პროექტის აღწერა და მიზნები . . . . . 3
ზოგადი მიმოხილვა . . . . . 4
დიასპორის ჩართვის პოლიტიკა . . . . . 8
ფინანსური კავშირების წახალისება . . . . . 11
საქართველო – ინფორმაცია გაერთიანებული სამეფოს დიასპორიდან . . . . . 18
კვლევა ქვეყნის მიხედვით – სლოვაკეთი . . . . . 19
კვლევა ქვეყნის მიხედვით – პოლონეთი . . . . . 22
კვლევა რეგიონის მიხედვით – აზია . . . . . 25
დასკვნები . . . . . 26
რეკომენდაციები . . . . . 27

# ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე მიგრაციის და შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების ზეგავლენის მიმოხილვა

## პროექტის აღწერა და მიზნები

დისკუსია იმიგრაციისა და შრომის მობილობის შესახებ გრძელდებოდა მრავალი ათწლეულის მანძილზე, უკანასკნელ წლებში კი ამ თემაზე დებატები მკვეთრად გაფართოვდა. ამას არაერთი მიზეზი აქვს, მათ შორის ძირითადია ის, რომ გლობალიზაციამ და დღემდე დახურული ან შეზღუდული საზღვრების გახსნამ განაპირობეს იმ ადამიანების რაოდენობის მუდმივი ზრდა, რომლებიც ტოვებენ თავიანთი წარმოშობის ქვეყანას, ცხოვრობენ და მუშაობენ საზღვარგარეთ.

მრავალი მიზეზის გამო ადამიანები საზღვარგარეთ მუშაობას ამჯობინებენ, დროის მოკლე პერიოდით თუ სამუდამოდ. ისტორიულად, ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ გააცნობიერა ყველა რეალური მიზეზი, რომელთა გამოც მათი მოქალაქეები ტოვებენ თავიანთი წარმოშობის ქვეყანას და ღირებული „ურთიერთობა“ ვერ შეინარჩუნა მათთან მიგრაციის შემდეგ.

უკანასკნელ წლებში, მიგრანტი მოქალაქეების მოტივაციების გაგებისა და მათთან ხელსაყრელი ორმხრივი კავშირის შენარჩუნების სურვილმა, მთელ მსოფლიოში მთავრობებს უბიძგა გადაეხედათ თავიანთი მიდგომებისთვის. ეს ცვლილება წაახალისა და მხარი დაუჭირა არაერთმა ზენაციონალურმა ინსტიტუციამ, რომელთა შორისაა: მსოფლიო ბანკი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, მიგრაციის საერთაშორისო ინსტიტუტი და მრავალი სხვა.

პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას თითოეულმა სახელმწიფომ, უცხოეთში მომუშავე თავის მოქალაქეებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, არის დიასპორის შესახებ მნიშვნელოვანი დეტალების შესწავლა. მხოლოდ ამ მონაცემების გათვალისწინებითაა შესაძლებელი მათთან ღირებული ურთიერთობა. სახელმწიფოს მიგრანტების შესახებ ინფორმაციის მიღება მრავალნაირად შეუძლია. რაც უფრო ნათელია სურათი, მით უკეთ არის დონორი ქვეყანა შეიარაღებული ღირებული დიალოგისა და უფრო ახლო ეკონომიკური კავშირების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობამ უკვე დაიწყო დიასპორის იდენტიფიკაციისა და ჩართვის სარგებლობის აღქმა. პროექტის მიზანია დაეხმაროს ქვეყნის მთავრობას უცხოეთში მცხოვრები და მომუშავე საკუთარი მოქალაქეების უკეთ გაგებაში/გაცნობაში ორმხრივი ჩართულობის პროცესის გასაუმჯობესებლად. ამ ინფორმაციის გამოყენებით, სხვა ქვეყნების გამოცდილებების შეფასებით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლით, ის დაეხმარება საქართველოს მთავრობას დიასპორასთან ურთიერთობის გაძლიერებისთვის თავისი დამოკიდებულებისა და მიდგომების უკეთ ფორმირებაში.

## ზოგადი მიმოხილვა

იმიგრაციას/მიგრაციას ყოველთვის ჰქონდა და ექნება ხედვების პოლარიზაციის პოტენციალი, იქნება ეს მიმღები ქვეყნის პერსპექტივიდან, რომელიც იღებს მიგრანტებს, თუ წარმოშობის ქვეყნის პერსპექტივიდან, რომელიც კარგავს მიგრანტებს. გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, არა მარტო ჩართული სახელმწიფოების ოფიციალური პოზიცია, არამედ მიმღები თუ წარმოშობის ქვეყნის მოსახლეობათა პოზიციაც. ორივე შემთხვევაში დამოკიდებულება შეიძლება მკვეთრად იცვლებოდეს მტრულიდან ან დესტრუქციულიდან მიმღებლობის გაზრდით, დამხმარემდე და მხარდამჭერამდე.

მართლაც, ხშირად ყველაზე დიდი ყურადღება მიმღები ქვეყნის მოსახლეობას ექცევა იმ შემთხვევაშიც, როცა მათი გავლენა, ჩვეულებრივ, არ არის ყველაზე გადამწყვეტი. თუმცა, როდესაც მიმღები ქვეყნის მოსახლეობა ხდება ზედმეტად მტრულად განწობილი იმიგრაციის დონისადმი, მაშინ სახელმწიფოები ზეწოლის გამო ცვლიან პოლიტიკას. ამის ბოლოდროინდელი კარგი მაგალითებია გაერთიანებულ სამეფოში BREXIT და ამერიკის შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის არჩევა, ორივეგან მოულოდნელი შედეგი მიმღები ქვეყნის მიერ იმიგრაციის პოლიტიკის გამკაცრების სურვილმა გამოიწვია.

სავარაუდოდ, ამის გამოა, რომ აკადემიური და სხვა კვლევები, რომლებიც ჩატარდა წლების მანძილზე, გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდნენ იმიგრანტებსა და მათ ურთიერთობას მიმღებ ქვეყანასთან, ვიდრე წარმოშობის ქვეყანასთან დიასპორის ურთიერთობას. უკანასკნელ წლებში, შრომითი მობილობის გაზრდამ გამოიწვია წარმოშობის ქვეყნის მიერ დიასპორის უკეთ გაგების მეტი საჭიროება, რამაც თავის მხრივ ბიძგი მისცა ამ მიმართულებით კვლევების გაღრმავებას.

თუმცა, როგორც ქვეყანათა უმეტესობამ დაიწყო მთელს მსოფლიოში თავიანთ დიასპორაზე ცოდნის გაზრდისა და მათთან კავშირების შენარჩუნების აუცილებლობის გაგება, ასევე – მსოფლიო ბანკმა და სხვა დონორმა ინსტიტუციებმა. ამჟამად ეს ინსტიტუციები მსოფლიოს გარშემო აფინანსებენ მრავალ პროექტს და ასპონსორებენ მეტ კვლევას, რითაც გაძლიერდა ისეთი პროფესიონალური ინსტიტუციები, როგორებიცაა: მიგრაციის საერთაშორისო ინსტიტუტი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, მიგრაციის ცენტრი, პოლიტიკა და საზოგადოება. ამ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა დაუბრუნა წონასწორობა კვლევის ფოკუსს და დაიწყეს მუშაობა წარმოშობის ქვეყნის პერსპექტივიდან ცოდნის დანაკლისზე.

უფრო კონკრეტულად, მსოფლიო ბანკმა და სხვა დონორებმა დააფინანსეს სპეციალისტი კონსულტანტები და სხვები, რათა ისინი დახმარებოდნენ კონკრეტულ ქვეყნებს პოზიციის ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა მეთოდის ათვისებაში თავიანთ დიასპორასთან უკეთ ჩასართავად.

მეტი ცოდნის, სპეციალისტი კონსულტანტების, დონორი ფონდების მიერ კვლევისა და სხვა სამუშაოს დაფინანსების სურვილის ამ მატრიცამ ინიციატივებისა და მოქმედებების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ამის შედეგად, უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა წარმოშობის ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც დააარსეს რაიმე სახის ფორმალური დიასპორული ინსტიტუციები. ეს ინსტიტუციები ვრცელდება კრებებიდან, კომიტეტებიდან, ზესამთავრობო ერთეულებიდან და სახემწიფოს მიბმული დიასპორული ჯგუფებიდან დიასპორულ პოლიტიკურ ერთეულებამდე და სამინისტროებამდეც კი.

დიაგრამა 1. აჩვენებს ამგვარი ერთეულების რაოდენობის ზრდას 1980 წლიდან და ნათლად არის დემონსტრირებული მკვეთრი ზრდა უკანასკნელ ათ წელიწადში, გაცილებით ნელი დასაწყისის შემდეგ. ამ აზრის დასადასტურებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2013 წელს ჩაატარა მსოფლიოში პირველი „დიასპორის სამთავრობო კონფერენცია“, რომელსაც დაესწრო 548 მაღალი დონის სამთავრობო წარმომადგენელი 143 ქვეყნიდან და ასევე 40 წევრი სხვადასხვა, მიგრაციაზე ფოკუსირებული ორგანიზაციიდან.

მეტიც, დღეს, ამა თუ იმ ფორმით, გაერთიანებული ერების ნახევარზე მეტ წევრ ქვეყანაში დიასპორული ინსტიტუციები არსებობს და მათი დაფუძნება ყველა ჩართული მხარისთვის ხელსაყრელადაა მიჩნეული.

**დიაგრამა 1.**

**დიასპორული ინსტიტუციების წლიური ჯამი, 1980-2012 (Gamlen et al 2013, Oxford Diasporas Programme / International Migration Institute)**




მრავალი კვლევის მიხედვით, არსებობს სამი მთავარი მიზეზი, რომელთა გამოც წარმოშობის სახელმწიფოს სურს თავის დიასპორასთან ინტენსიური ურთიერთობა. კერძოდ, ესენია „tapping“, „embracing“ და „governing“. უმეტეს შემთხვევებში სამივე მიზეზი გვაქვს წარმოდგენელი, მაგრამ არათანაბარი რაოდენობით და ეს უთანაბრობა განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში.

Tapping – ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ შეუძლია წარმოშობის ქვეყანას დიასპორის გამოყენება ფინანსური სარგებლისთვის, იქნება ეს ფულადი გზავნილების სახით, რომლებსაც უცხოეთში მცხოვრებლები უგზავნიან თავიანთ ოჯახებს, თუ უფრო მნიშვნელოვანი და რთულად განსახორციელებელი მეთოდები, როგორებიცაა წარმოშობის ქვეყანაში კომპანიებისა და პროექტების ინვესტირებით მათი დაინტერესება.

Embracing – მისი არსია მიგრანტების ქვეყნის ნაწილად მოაზრების სურვილი, მათი საზღვარგარეთ ცხოვრების მიუხედავად. ეს ხელს უწყობს კულტურული და მემკვიდრეობითი ფესვების შენარჩუნებას, აძლიერებს კავშირს წარმოშობის ქვეყანასა და საზღვარგარეთ მცხოვრებთა შორის, რამაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს სხვა სარგებლობა ან შემდგომში წარმოშობის ქვეყანაში მიგრანტების დაბრუნებაც კი.

Governing – სავარაუდოდ, ყველაზე რთული და აქედან გამომდინარე ყველაზე ნაკლებად გამოყენებულია. ეს არის დიასპორაზე მაღალი დონის ზეგავლენისა და კონტროლის მცდელობა, რომელიც წარმოშობის ქვეყნის ვარაუდით, დაეხმარება საერთაშორისო ურთიერთობებში ან უზრუნველყოფს პასუხისმგებლობას წარმოშობის ქვეყნის წინაშე საზღვარგარეთ ცხოვრების მიუხედავად.

სამივე მოტივაცია უფრო დეტალურადაა განხილული მოცემულ სტატიაში.

სახელმწიფოს არჩევანი თავის დიასპორასთან ჩასართავად, ძირითადად ემყარება „ტვინის გადინების“ გარკვეულ ფორმაზე წუხილს,

**სურათი 1.**

**მიგრანტების პროცენტი (წყარო:jakubmarian.com)**




რომელიც გამოწვეულია ახალგაზრდა თაობის იმიგრაციით. საზოგადოების ახალგაზრდა, ნიჭიერი და, სავარაუდოდ, განათლებული წევრების უცხოეთში წასვლით სახელმწიფო თითქოს სუსტდება, ან პოტენციურად სუსტდება, ფინანსური თუ სხვა თვალსაზრისითაც. თუმცა აზრი, რომ წარმოშობის ქვეყანა მხოლოდ ზარალშია, არის მოძველებული, რადგანაც უკანასკნელმა კვლევამ და დიასპორასთან ჩართვის უკეთესმა გზებმა გამოიწვიეს შესაძლო სარგებლის მიღების და უარყოფითი მხარეების შემსუბუქების უკეთესი აღქმა. ხშირად საერთაშორისო მიგრაციის დონე არ არის სრულად აღქმული და არც ის ფაქტი, რომ ის ზემოქმედებს, როგორც მდიდარ, ასევე ღარიბ ქვეყნებზე. სურათი 1. გვიჩვენებს, ევროპის ქვეყნებიდან უცხოეთში მცხოვრებ და მომუშავე ნაწილის პროცენტულ მაჩვენებელს.

დიაგრამაში ნაჩვენები პროცენტი აღებულია მთლიანი მოსახლეობიდან, მაგრამ გაეროს გამოთვლებით ბრიტანეთს, შედარებით უფრო დიდი მოსახლეობის გამო, ნებისმიერ სხვა დასავლურ ქვეყანაზე მეტი – 4.97 მილიონი მიგრანტი ჰყავს. უმეტესობა გადადის ავსტრალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ახალ ზელანდიასა და ბანგლადეშში. ბანგლადეშში მიმავალი მიგრანტები ექსკლუზიურად მეორე თაობის ბანგლადეშელები არიან, რომლებიც უბრუნდებიან „სახლს," მათი მშობლების წარმოშობის ქვეყანას.

**სურათი 2.**

**მიგრანტების დანიშნულების ქვეყნები (წყარო: jakubmarian.com)**

შეიძლება სუფთა სტატისტიკური მონაცემები პოტენციურად დამაბნეველი გახდეს, როცა ქვეყანაში დაბადებული ხალხი თავისთავად ითვლება ამ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილად, ისინი ვინც დაიბადნენ სხვა ქვეყნიდან მიგრირებული მშობლების ოჯახში ითვლებიან მათი მშობლების წარმოშობის ქვეყნის დიასპორის ნაწილად. აქედან გამომდინარე, მათ ჰყავთ ოჯახები, აქვთ კულტურული და ემოციური კავშირი მშობლების წარმოშობის ქვეყანასთან და შეიძლება დროის რაღაც მონაკვეთში მოისურვონ უკან მიგრირება.

სურათი 2. გვიჩვენებს თუ რამხელა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამას მიგრაციის ნებისმიერ ოფიციალურ სტატისტიკაზე. მაგალითად, მეტი ესტონელი და ლიტველი წავიდა რუსეთში საცხოვრებლად, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში და მეტი ხორვატი გადასახლდა სერბეთში, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილას. ამ ნაკადების უმეტესობას წარმოადგენენ მეორე თაობის მიგრანტები, რომლებიც „ბრუნდებიან“ თავიანთი მშობლების წარმოშობის ქვეყანაში.

მართალია, უდავოა, რომ პირველი თაობის მიგრანტებს, ბევრად უფრო ძლიერი კავშირი აქვთ წარმოშობის ქვეყანასთან, ვიდრე მეორე და მესამე თაობას შეუძლია ჰქონდეს, მაგრამ მიგრაციის ეს შებრუნებული დინება ნათლად ცხადყოფს მიგრანტებთან და მათ მომავალ ოჯახებთან კულტურული და ემოციური კავშირების უზრუნველყოფის სარგებელს.

ამგვარად, პოტენციურად ძალიან დიდი დროის გამო, დიასპორასთან ჩართულობის პოლიტიკის შეფასება შეიძლება იყოს საკმაოდ რთული. მიუხედავად ამისა, მათთან ჩართულობა ღირებული პრაქტიკაა.

## დიასპორის ჩართვის პოლიტიკა

დიასპორასთან ჩართვის სარგებლის გაცნობიერების, ასევე დონორებისა და სპეციალიზებული ინსტიტუციების მიერ დაფინანსების შემდეგ, უფრო მეტი ქვეყანა განიხილავს მიდგომის ალტერნატიულ გზებს.

მართალია, tapping, embracing and governing არის სამი ძირითადი საფუძველი, რომელთა გამოც სურს მთავრობების უმრავლესობას დიასპორასთან ჩართვა, კითხვა მაინც რჩება, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს საუკეთესოდ და ზუსტად რა სარგებელი აქვს მას. ამასთანავე, რა გავლენა აქვს მიგრაციას წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკაზე და როგორ შეიძლება ის შეიცვალოს დიასპორასთან ურთიერთობით.

როგორც განვიხილეთ, მრავალი ნაბიჯია გადადგმული უნარების ზრდის პოლიტიკითა და ინფორმაციის დაგროვების პრაქტიკით, რაც შესაძლებელს ხდის, როგორც წარმოშობის, ასევე მიმღები ქვეყნისთვის მასშტაბურად იმუშაოს დიასპორასთან ეკონომიკური, ლეგალური და ჰუმანიტარული პერსპექტივიდან გამომდინარე.

ინსტიტუციების შენება ხშირად პირველი ნაბიჯია და უმეტეს შემთხვევებში ითვალისწინებს, როგორც საზღვარგარეთ ქვეყნის საელჩოებთან მუშაობას, ასევე ადგილობრივ კავშირს თითოეულ სახელმწიფოში. ამ მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს უფრო დეტალური უკუგების დაგროვება, ვიდრე მხოლოდ სტატისტიკურმა ინფორმაციამ, ნებისმიერ მოცემულ ქვეყანაში გადასული ადამიენების რიცხვისა თუ სხვა სტანდარტული მონაცემების შესახებ.

საკითხის კარგად გაგების შემდეგ, სახელმწიფოს შეუძლია უკეთ გადაწყვიტოს, ფინანსური პერსპექტივიდან გამომდინარე ზუსტად როგორ სურს დიასპორასთან ურთიერთობა, ასევე ბალანსის შესწორება უფლებების გაფართოებასა და ვალდებულებებს შორის. ამჟამად ცნობილია, რომ სწორი შეხამებით სახელმწიფოს არ მოუწევს ტვინის გადინების ატანა ან ეკონომიკური ზარალი კომპენსაციის გარეშე, რომელიც დაუბრუნდება წარმოშობის ქვეყანას.

დიასპორის ჩართვის პოლიტიკაში ხშირად გამოყენებული მეთოდია – სახელმწიფოს მიერ იმ ემოციური კავშირების გაძლიერების მცდელობა და მორალური თუ სხვა ვალდებულებების ხაზგასმა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს დიასპორას თავისი წარმოშობის ქვეყნის მიმართ.

დიაგრამა 2 შედგენილია 2006 წელს ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით. სიძველის მიუხედავად, მონაცემები აჩვენებს ჩართულობის პოლიტიკის მრავალფეროვნებას გლობალური მასშტაბით. ყურადღება გამახვილებულია 15 ქვეყანაზე, საიდანაც ყველაზე მეტი ინფორმაციაა მოწოდებული.

კვლევამ ბევრად მეტი ქვეყანა მოიცვა ვიდრე დიაგრამა 2.-ზეა მოცემული მაგრამ მხოლოდ მათ უზრუნველყვეს საკმარისად დეტალური ინფორმაციის მოწოდება. ცხადად ჩანს, რომ მცირე ჰუმანიტარული საკითხებისა და ინსტიტუციების მშენებლობის საშუალებით უნარების ზრდა, ყველაზე გამოყენებადი და ნაყოფიერი გზაა დიასპორასთან ჩასართავად.

ბევრი ქვეყანა კვლევის მიმდინარეობისას უფლებებს აფართოებდა, მაგრამ ეს გაფართოება იწყებოდა სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი დიასპორასთან დისკუსიებში, სახელმწიფოს შიდა და გარე განხილვებში. 2006 წლიდან ამ ორ საკითხზე ჩართული ქვეყნების უმეტესობა უფრო შორს წავიდა, გარკვეული ფორმით ჩამოყალიბდა დისკუსიებთან მიმართებით და ისინი პოლიტიკად აქცია.

თუმცა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბევრად მეტმა ქვეყანამ, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი დიაგრამა 2-ზე, შეიმუშავა მყარი პოლიტიკა ამ სფეროებში და კიდევ მეტი ქვეყანაა დისკუსიისა და მათთვის ხელმისაწვდომი საუკეთესო შესაძლებლობების შესწავლის სხვადასხვა ეტაპზე.

**დიაგრამა 2.**

**დიასპორული პოლიტიკის ტიპები და გავრცელება გლობალურად, 2006 (Gamlen, Centre on Migration, Policy and Society)**

ქვეყნები, რომლებიც იყენებენ დიასპორის ჩართვის პოლიტიკას (detailed sources consulted)




ჩატარებულ კვლევაში სამიდან ყველაზე ნაკლებად განვითარებული სფერო იყო მოვალეობების ექსტრაგირება. ორი სხვა სფეროსგან განსხვავებით, ის რჩება შედარებით განუვითარებლად განხორციელების სირთულის გამო. არსებობს ორი ძირითადი წინაღობა, პირველი, მიგრანტებზე შესაძლო ზეწოლა და მეორე, ხელი არ უნდა შეეშალოს ა) მიგრანტების მოვალეობებს მიმღებ ქვეყანაში, ბ) საერთაშორისო ურთიერთობებს მიმღებსა და წარმოშობის ქვეყნებს შორის.

ამასთანავე, დიასპორის ჩართვის პოლიტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება გვთავაზობს, რომ მსუბუქი, ნაზი და ნებაყოფლობითი მიდგომა მოქმედებს ბევრად უკეთ, ვიდრე მძიმე და ძალდატანებითი.

იმავე კვლევას, რომლის შედეგებითაც შედგა დიაგრამა 2., სხვა 58-მა ქვეყნამ მიაწოდა ფრაგმენტული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მათ შედეგებს აჩვენებს დიაგრამა 3.

სავარაუდოდ, დიაგრამა 3.-ში ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ძალიან რელევანტური თვალსაზრისი, რომელთაგან არც ერთი არ ჩაითვლებოდა მნიშვნელოვნად უმეტეს შემთხვევებში. უპირველეს ყოვლისა, ის ცხადყოფს ფაქტს, რომ დიასპორასთან ჩართვის პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება მსოფლიოს მასშტაბით და ეს არ ხდება მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებში. ისევ და ისევ, მას შემდეგ რაც ეს კვლევა ჩატარდა და მეტმა ქვეყანამ მიიღო საკუთარ დიასპორასთან ჩართვის პოლიტიკა, ეს პროცესი

## დიაგრამა 3.

### დიასპორული პოლიტიკის ტიპები და გავრცელება გლობალურად, 2006 (Gamlen, Centre on Migration, Policy and Society)

ქვეყნები, რომლებიც იყენებენ დიასპორასთან ჩართვის პოლიტიკას ( detailed sources not consulted)



უფრო გლობალური გახდა. ამასთან ერთად, ეს მიდგომა მიიღეს არა მარტო ღარიბმა, არამედ ყველაზე მდიდარმა ქვეყნებმაც, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, შვეიცარიამ და იაპონიამ.

აქედან გამომდინარე, ფაქტი, როცა ღარიბი ქვეყნებისთვის ყველაზე დიდი სარგებელი საზღვარგარეთ მაცხოვრებლების მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილია და ამ დროს მდიდარი ქვეყნებიც აღრმავებენ კავშირებს თავიანთ დიასპორებთან, ცხადყოფს მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებაში სხვა მრავალი სარგებლის არსებობას.

ახლა, როცა განვიხილეთ ის რამდენიმე მიზეზი, რომელთა გამოც სახელმწიფო ერთვება თავის დიასპორასთან, შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ კონკრეტულად იმ საკითხზე, თუ როგორ შეუძლია მიგრაციას გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე და როგორ შეიძლება სახელმწიფო შეეცადოს ამ პროცესზე რაიმე სახით ზეგავლენის მოხდენას.

## ფინანსური კავშირების წახალისება

გაეროს მიხედვით „შრომის საერთაშორისო მიგრაცია არის გლობალიზაციისა და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი მრავალ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში“. მიგრაციის ფენომენი არ არის ახალი და გაეროს გამოთვლებით საზღვარგარეთ მომუშავეთა რიცხვი მეტ-ნაკლებად წრფივად გაიზარდა 40 წლის განმავლობაში, 1965 და 2005 წლებს შორის, რაც გულისხმობს მოცემულ წლებში ზრდას 76 მილიონი ადამიანიდან 188 მილიონამდე.

ევროკავშირში, საზღვრების გახსნასა და გლობალურად სხვა სასაზღვრო აკრძალვების შესუსტებასთან ერთად, 2005 წლიდან მოყოლებული შრომის მიგრაციის მაჩვენებელი იზრდება. მართლაც, გაეროს გამოთვლებით, 2015 წელს იყო 244 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი და ეს ციფრი 15 წლის განმავლობაში გაიზარდა 41 პროცენტით.

არსებობს მრავალი სახის ფინანსური კავშირი, დაწყებული ყველაზე აშკარა და გავრცელებულიდან, როგორიცაა საზღვარგარეთიდან ფინანსური გზავნილები ოჯახებში, დამთავრებული უფრო რთული და მსხვილი ერთჯერადი გადმორიცხვებით, როგორიცაა წარმოშობის ქვეყნებში ინვესტიციები.

ფულადი გზავნილების უმეტეს ნაკადებზე პასუხისმგებელნი არიან მიგრანტები ნაკლებად განვითარებული ეკონომიკებიდან, რადგანაც მათგან ეს დახმარება სჭირდებათ სახლში დარჩენილ ოჯახებს. ამის მიუხედავად, არა მარტო განვითარებად ეკონომიკებს შეუძლიათ საზღვარგარეთ სამუშაოდ მიგრირებული მოქალაქეებისგან სარგებელი ნახონ, არამედ მდიდარ ქვეყნებსაც.

განხილვისას, როგორც მოსალოდნელია, ფულადი გზავნილები პირდაპირ უკავშირდება მიგრაციის მიზეზებს, მიგრანტების ოჯახურ კავშირებსა და მოვალეობებს წარმოშობის ქვეყანაში. მნიშვნელოვანია ასაკობრივი ფაქტორიც. ახალგაზრდა, ნაკლებად უნარიანი მიგრანტები, ჩვეულებრივ არიან კაცები, რომლებსაც ოჯახებში არ ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და ისინი აგზავნიან ნაკლებს. ამავდროულად, უფრო უნარიანი ან უფრო განათლებული მიგრანტები ხშირად არიან ქალები, რომლებიც ტოვებენ ოჯახებში ბავშვებს და ისინი ჩვეულებრივ აგზავნიან მეტს. დიაგრამა 4. გვიჩვენებს ერთ-ერთი გამოკვლეული ქვეყნის (პოლონეთის) მაგალითს ექვს სხვა ქვეყანასთან ერთად. ცხადია, რომ ფულადი გზავნილების დონე, როგორც არ უნდა გავზომოთ, ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება და დროის განმავლობაში დამოკიდებულია ინიციატივებსა და ვითარებებზე.

ზემოთ ნაჩვენები ქვეყნების მაგალითების მიხედვით ამ ტიპის ფულადი გზავნილების წილი მშპ-ს 2.5 პროცენტი და ყოველწლიურად ათობით მილიარდი დოლარია. ამასთან ერთად, ეს ფულადი გზავნილები, ჩვეულებრივ, იგზავნება წარმოშობის ქვეყნის უფრო ღარიბ რეგიონებსა და ოჯახებში, რადგანაც უფრო ხშირად აქედან ჩამოდიან მიგრანტები. ისინი, როგორც წესი, ფინანსებს აგზავნიან სახლში.

მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, 2010 წელს ფულადმა გზავნილებმა მხოლოდ განვითა-

**დიაგრამა 4.**




მიღებული ფულადი გზავნილების დონე – ჯამი (მარცხენა მხარე) და მშპ-დან პროცენტი (მარჯვენა მხარე) პოლონეთი vs. სხვა ქვეყნები, 1994-2015 (მილიონი ამერიკული დოლარი)

*წყარო: world bank staff calculation based on data IMF Balance of Payments Statistics database and data releases from central banks, national statistical agencies, and World Bank country desks (2016).*

რებად ქვეყნებში გადააჭარბა 320 მილიარდ ამერიკულ დოლარს და ფულადი გზავნილების დონე მსოფლიოს გარშემო იზრდება ყოველწლიურად. ამასთან ერთად, გამოთვლების მიხედვით, ფულადი გზავნილების დათვლის სირთულის გამო, ეს ოფიციალური რიცხვები შეადგენს რეალური დონის მხოლოდ 50 – 70 პროცენტს.

აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით, ოფიციალურმა გზავნილებმა ყველაზე მაღალ დონეს 2012 წელს მიაღწია – ინდოეთში (70 მილიარდი ამერიკული დოლარი), ჩინეთში (66 მილიარდი ამერიკული დოლარი), ფილიპინებსა და მექსიკაში (ორივეგან 24 მილიარდი ამერიკული დოლარი). თუმცა, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) თვალსაზრისით რიცხვები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია უფრო სუსტი ეკონომიკებისთვის, რადგანაც მათ იმავე წელს შეადგინეს მშპ-ს 47 პროცენტი ტაჯიკეთში, 31 პროცენტი – ლიბერიაში და 29 პროცენტი – ყირგიზეთის რესპუბლიკაში.

სხვა, საზღვარგარეთული კაპიტალის დინებებისგან განსხვავებით, ფულადი გზავნილები არა მარტო უფრო სტაბილურია, არამედ კონტრაციკლურიც. მაგალითად, აზიის ფინანსური კრიზისისა და 2001 წელს 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული თავდასხმების შემდეგ ინვესტიციები ჩაიძირა, მაშინ როცა ფულადმა გზავნილებმა იმატა. მაგალითად, ბოცვანაში მიგრანტები გზავნიან მეტ ფულს გრძელი გვალვების პერიოდებში, რადგანაც ამ დროს მათ ოჯახებს მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ.

მაგალითების უმეტესობა გვიჩვენებს, რომ მიგრანტებისგან ფულადი გზავნილები წარმოშობის ქვეყანაში ხელსაყრელია, როგორც მათი უშუალო მიმღებებისთვის, აგრეთვე მთელი ქვეყნისთვის. თუმცა, არსებობს არგუმენტები საწინააღმდეგო მოსაზრებისთვისაც.

ეკონომიკაში მიღებულია გამამრავლებელი ეფექტის 8x არსებობა თითოეული გამომუშავებული ერთეულისთვის. რადგანაც შემოსავალი იხარჯება, დახარჯული შემოსავლის მიმღები ისევ ხარჯავს მას და ეს პროცესი ხშირად მეორდება. ამის გამო, ეკონომიკისთვის, როგორც მთელისთვის ნებისმიერი ერთეული, მის საწყის რიცხვზე დაახლოებით რვაჯერ მეტად ღირებულია.

აქედან გამომდინარე, მიგრანტების მიერ ოჯახებში ფულადი გზავნილები, ან წარმოშობის ქვეყანაში რაიმე სხვა სახის გზავნილების თითოეული ერთეული, ბევრად უფრო ხელსაყრელია მთლიანი ეკონომიკური პროცესისთვის.

თუმცა გამამრავლებელი ეფექტის უშუალო დონე განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რაზე იხარჯება ფული. უფრო კონკრეტულად კი, თუ იხარჯება საგნებზე მეტი, ვიდრე მომსახურებებზე, ხოლო ეს საგნები დამზადებულია წარმოშობის ქვეყანასა თუ უცხოეთში. იმპორტირებული საგნების შემთხვევაში, გამამრავლებელი ეფექტის გარკვეული ნაწილი ბრუნდება უცხოეთში, რადგანაც ის ვრცელდება დამამზადებელ სამუშაოებზე.

თუმცა, 2008 წელს ჩატარებულმა მასშტაბურმა კვლევამ, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს 59 მზარდი ეკონომიკის 30-წლიანი პერიოდის მასალა, დაასკვნა, რომ ფულადი გზავნილების ერთპროცენტიანი ზრდა ასოცირდებოდა სიღარიბის დონის შემცირებასთან 0.37 პროცენტით. ეს ხაზს უსვამს ფულადი გზავნილების იმ დადებით გავლენას, რომელიც აქვს როგორც უშუალო მიმღებზე, ასევე მთელ ეკონომიკაზე.

თუმცა აზრი, რომ იმპორტირებული „ფუფუნების“ საგნების ყიდვა არის წმინდად მომხმარებლური და არ ეხმარება წარმოშობის ქვეყანას, ხშირად არასწორია. მაგალითად, ბრაზილიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, იმპორტირებული მანქანები ტაქსებად, იმპორტირებული მაცივრები, დიდი ტელევიზორები და მსგავსი ხელსაწყოები ბარის მოსაწყობად გამოიყენება; ტელეფონებსაც კი პატრონი ხშირად იყენებდა როგორც ფასიან „საზოგადოებრივ“ ტელეფონს.

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ერთი შეხედვით უბრალო მომხმარებლობა, იყო ინვესტიცია სხვადასხვა სახის მცირე ბიზნესში. ამ ქმედებით უზრუნველყვეს შემოსავალი, სამსახურები, დაეხმარნენ ფულის მიმღებსა და განავითარეს ადგილობრივი ეკონომიკა. არც ერთი მათგანი არ იქნებოდა შესაძლებელი ოჯახის მიგრირებული წევრის ფულადი გზავნილების გარეშე.

ცხრილი 1. გვიჩვენებს გაწონასწორებულ ხედვას ფულადი გზავნილების სარგებელს ან საწინააღმდეგოს შორის. მაგრამ ამ ფორმით წარმოდგენის შემთხვევაშიც ცხადია, რომ ყველანაირი პრობლემა გადაწონილია სარგებლის მიერ.

ქვემოთ, ქვეყნის მიხედვით კვლევაში ნაჩვენებია, რომ მიგრანტების უმეტესობა ფულს აგზავნის წარმოშობის ქვეყნის ოჯახში, ამასთანავე ეს შეიძლება იყოს მათი შემოსავლის შედარებით დიდი პროცენტი. აქედან გამომდინარე, მიგრანტების სიმრავლის შესაბამისად, გაგზავნილი ფულის მთელი რაოდენობა შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი. ფულადი გზავნილების მიმღებ ქვეყნებს ამ ნაკადების მხარდაჭერა და გაზრდა არაერთი გზით შეუძლიათ, ეს შეიძლება იყოს, ვალუტაზე რეგულაციების შემსუბუქება, შემოსულ ფულზე ბიუროკრატიისა და გადასახადის შემცირება ან ამ თანხის ფიზიკურ შეგროვებაში დახმარება.

აღსანიშნავია, რომ წარმოშობის ქვეყნის ყველაზე ღარიბ ოჯახებში ფულადი გზავნილების უმეტესობა იხარჯება ძირითად სამომხმარებლო საჭიროებებზე, როგორიცაა: საჭმელი, ტანსაცმელი ან საცხოვრებლით უზრუნველყოფა. იმის შემდეგ, რაც ამ ოჯახებს ფულადი გზავნილების შედეგად დაუგროვდებათ შემოსავალი, ან გზავნილები მიუვათ საშუალო შესაძლებლობის ოჯახებს, მიღებული ფულის ნაკლები ნაწილი დაიხარჯება მხოლოდ სამომხმარებლო საჭიროებისთვის, მეტი კი – ინვესტიციაზე.

ამდაგვარად ფულად გზავნილებს შეუძლია უღარიბესი ოჯახების იმ მდგომარეობამდე მიყვანა, როცა შეძლებენ ფულის არა მარტო მოხმარებას, არამედ ინვესტირებას, სავარაუდოდ, რაიმე სახის პატარა ბიზნესში, რომელიც დაეხმარებათ მათ გადარჩენაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ფართო ეკონომიკა სარგებელს იღებს გამამრავლებელი ეფექტით.

ხშირად მექსიკა მიიჩნევა ამ დარგში ყველაზე დიდ ინოვატორად. „matching fund“ (შემხვედრი ფონდი) პროგრამით „Tres por Uno(3x1)” მთავრობა უცხოეთში მომუშავე მექსიკელების მიერ გამოგზავნილ თითოეულ პესოს ზრდის კიდევ სამი პესოთი. ეს შეიძლება იყოს ეფექტური ინიციატივა, როგორც ნაჩვენებია დიაგრამა 4.-ზე (გვერდი 12) წლიური შემოსავლები შეადგენს 25 მილიარდ ამერიკულ დოლარს.

მოლდოვამ ნაწილობრივ გადმოიღო მექსიკის ფულადი გზავნილების პოლიტიკა, მან ის და-

**ცხრილი 1.**

**სხვადასხვა პერსპექტივები მიგრანტების ფულად გზავნილებზე (წყარო:Gamlen, Centre on Migration, Policy and Society)**

პესიმისტური და ოპტიმისტური პერსპექტივები ფულად გზავნილებთან მიმართებით

| ფულად გზავნილებთან დაკავშირებული შიშები (შტალი და არნოლდი 1986) | ფუალდ გზავნილებთან დაკავშირებული ოპტიმიზმი |
|---|---|
| ფულადი გზავნილები არ იწვევენ პროდუქტიულ ინვესტიციებს, არამედ ახალისებენ არაეფექტურ ხარჯვას | მიკრო დონე: არაპროდუქტიული ინვესტიციები და მოხმარება აუმჯობესებენ ცხოვრების სტანდარტსა და ხარისხს (შტალი და არნოლდი 1986). ეხმარება ადამიანებს კრიზისული პერიოდის დაძლევაში (ვან ჰერი, ციტირებული ოსტეგარდ-ნილსენში 2003) და ეხმარება საოჯახო მეურნეობის დივერსიფიცირებაში<br><br>მაკრო დონე: მოხმარება ზრდის მოთხოვნას, რაც აჩენს გამამრავლებელ ეფექტებს რომლებიც ასტიმულირებენ წარმოშობის ქვეყნის ინდუსტრიასა და ეკონომიკას (შტალი და არნოლდი 1986) |
| ფულადი გზავნილების დისტრიბუცია არათანაბარია და ზრდის შემოსავლების და სიმდიდრის უთანასწორობას | ფულადი გზავნილები უფრო თანაბრად არიან გადანაწილებულნი ვიდრე საზღვარგარეთის მიერ განვითარების დახმარებები და ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (ჰუგო 2003) |
| ფულადი გზავნილეის გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ინფლაცია | ფასთა მატება მცირდება რესურსების უფრო ძვირადღირებულ საქონელზე გადანაწილებით (შტალი და არნოლდი 1986). |
| ფულადმა გზავნილებმა შეიძლება გაზარდონ დამოკიდებულება უეცარი შემცირების რისკით | შრომითი ექსპორტი უნდა იქნას აღქმული როგორც ნებისმიერი სხვა საექსპორტო სექტორი და იქნას ფრთხილად მართული დამოკიდებულების ასაცილებლად (კეელი და ტრანი 1989). |
| ფულადი გზავნილები უარყოფითად მოქმედებენ აგრარულ განვითარებაზე მუშაკებისთვის ინიციატივის წართმევით | აგრარული პროდიქტიულობის შემცირება გამოწვეულია მიგრაციის გზით შრომითი ძალის დაკარგვით და არა მუშაკთა თვითკმაყოფილებით (შტალი და არნოლდი 1986). |

უკავშირა იმ ფულადი შემოსავლებით დაფინანსებას, რომლითაც მიგრანტების ოჯახები ქმნიან მცირე ბიზნესს. სახემლწიფოს მიზანი იყო მოლდოვის ეკონომიკაში ინვესტირებული გზავნილების გაზრდა 8.5 მილიონი ამერიკული დოლარით, რაც 2000 ახალი ბიზნეს საქმიანობისთვის ხელსაყრელ გარემოს, 6000 ახალ სამუშაო ადგილს შექმნიდა, რომელთაგან 70 პროცენტი სასოფლო ტერიტორიებზე განხორციელდებოდა.

მოლდოვური გეგმა ნაწილობრივ წარმატებული იყო 5 წლის განმავლობაში, 2010-დან 2015 წლამდე, რადგანაც მისი დახმარებით შეიქმნა 504 ახალი ბიზნესი და 1100 ახალი სამუშაო ადგილი.

ფულადი გზავნილების წასახალისებლად ერთ-ერთი უმარტივესი გზა გამოგზავნის გამარტივება და გაიაფებაა. საერთოდ, გზავნილები, მაგალითად, „ვესტერნ იუნონით“ ყოველთვის ძვირი იყო, განსაკუთრებით, მცირე რაოდენობით გზავნილების შემთხვევაში. ბიუროკრატიისა და სისტემის მიერ ფიზიკური პირისათვის ფულის მიღების გართულება, შესაძლოა, შემაფერხებელ ფაქტორად იქცეს.

იაფმა, პირდაპირმა ელექტრონულმა გადარიცხვებმა საბანკო ანგარიშებს შორის შეიძლება სიტუაცია გააუმჯობესოს, მაგრამ ესეც მოითხოვს გამგზავნისა და მიმღებისგან საბანკო ანგარიშის ქონას, რაც ბევრ ღარიბ ქვეყანაში წარმოუდგენელია. ფულის ალტერნატიული გადარიცხვის სისტემის მაგალითია M-Pesa.

2007 წელს კენიაში შიქმნილი M-Pesa არის ფულის გადარიცხვის სატელეფონო სისტემა, რომელიც იქცა გადარიცხვის ყველაზე წარმატებულ სისტემად. ის ამჟამად კენიაში, ტანზანიაში, ავღანეთში, სამხრეთ აფრიკაში, ჩინეთში, რუმინეთსა და ალბანეთში მოქმედებს. ამ სისტემის გამოყენებით ნებისმიერს შეუძლია ძალიან იაფად ფული გადაურიცხოს მას, ვისაც აქვს დარეგისტრირებული მობილური ტელეფონი ჩამოთვლილთაგან რომელიმე ქვეყანაში. ფული შეიძლება გადაიგზავნოს ტელეფონიდან ტელეფონზე ან დებეტის გამოყენებით, ან საკრედიტო ბარათით, რაც დიასპორისთვის აადვილებს ფულის გაგზავნას წარმოშობის ქვეყნის ოჯახში.

იმის შემდეგ, რაც მიმღები ტელეფონზე მიიღებს კრედიტს, ფულის აღება შესაძლებელია ქვეყნაში არსებული ათი ათასობით პატარა მაღაზიიდან. აქედან გამომდინარე, მიმღებს არ სჭირდება საბანკო ანგარიში, აუცილებელია მხოლოდ მობილური ტელეფონი.

სხვა ქვეყნებმა ყურადღება გაამახვილეს ფულადი გზავნილების წახალისებაზე, ფორმალიზებულად მათი წარმართვის საშუალებით. სავარაუდოდ, ისეთი ინვესტიციის სახით, რომლითაც შემდგომში სხვა ფორმით დაეხმარებოდნენ სახელმწიფოს ეკონომიკას. მაგალითად, ინდოეთმა და ფილიპინებმა მიგრანტებისთვის განკუთვნილი ობლიგაციები უცხოურ ვალუტაში გამოსცეს, ხოლო ინდოეთი და პაკისტანი მათ ფულად გზავნილებზე ხელსაყრელ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობენ.

ზოგიერთი ქვეყანა აქტიურად მოუწოდებდა მოქალაქეებს უცხოეთში სამუშაოდ მიგრაციისკენ, რადგანაც ხვდებოდნენ იმ დადებით გავლენას, რომელიც შეიძლება ჰქონოდა დიასპორას მთელ ეკონომიკაზე. ამ მიდგომის გამოხატვა მრავალგვარია, დაწყებული პაკისტანში უფასო პასპორტების გაცემიდან, დამთავრებული ფილიპინების მიერ სამუშაო სააგენტოს შექმნით, რომელიც ეხმარება მიგრანტებს უცხოეთში სამუშაოს მოძიებაში ჯანდაცვასა თუ სხვა სექტორში.

ფილიპინების პოლიტიკის წარმატებას ცხადყოფს იმ ფილიპინელების რაოდენობა, რომელიც მუშაობს მოხუცთა თავშესაფრებსა და საავადმყოფოებში ევროპასა და მთელ მსოფლიოში. მათი უმეტესობა საკუთარი შემოსავლის დიდ პროცენტს აგზავნის თავის ოჯახში და საგრძნობლად ეხმარება ქვეყნის ეკონომიკას. ეს მეთოდი არა მარტო ზრდის უცხოური კაპიტალის ფულად გზავნილებს, არამედ ამცირებს უმუშევრობის დონეს ფილიპინებში.

ფულადი გზავნილების გაზრდის „ალტერნატიული“ პოლიტიკის კიდევ ერთი მაგალითია ნეპალის ხელისუფლების მიდგომა. მან მიგრაციამდე პროფესიული განათლების მიღება აუცილებელი გახადა. პროფესიული მომზადება მიზნად ისახავს იმ უნარების გამომუშავებას, რომლებიც შეიძლება მათ დასჭირდეთ მიმღებ ქვეყანაში.

ფულადი გზავნილები შეიძლება იყოს მრავალი სახის, დაწყებული ძალიან პატარა სისტემური გზავნილებიდან, დამთავრებული ბევრად უფრო დიდი, მაგრამ არა- სისტემური გზავნილებით. უფრო პატარა, სისტემური გზავნილები, ჩვეულებრივ იგზავნება ოჯახების მხარდასაჭერად, ხოლო არარეგულარულმა დიდმა გზავნილებმა შეიძლება ოფიციალური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ან საზოგადოებრივი პროექტის ფორმა მიიღოს.

მსოფლიოს ყველა სახელმწიფო საკუთარ ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციის(FDI) წახალისებას ცდილობს, რადგანაც FDI ხშირად უკავშრდება დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ან დიდი მანუფაქტურული დაწესებულებების მშენებლობას, ამიტომ ის აღიქმება როგორც გარე რესურსი, რომელსაც ქვეყანა ჩვეულებრივ არ ფლობს.

დიასპორას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს მიმღები ქვეყნიდან FDI-ს წახალისებაში, რადგანაც მათ აქვთ ცოდნა პოტენციური ინვესტიციებისა და წარმოშობის ქვეყნის შესახებ.

ეს „როლი“ შეიძლება არაფორმალური იყოს, უბრალოდ პროექტებსა და ინვესტიციებზე საუბრის სახით. სახელმწიფო ფორმალურად შესაძლებლობების გამოჩენის შემდეგ ჩაერთვება.

ინვესტორების წახალისებასთან ერთად ქვეყნებს შეუძლიათ შიდა ინვესტირება იმ შემთხვევაში, თუ ამის ფინანსური საშუალება აქვთ. ამასთანავე, შიდა საინვესტიციო შესაძლებლობები და კლიმატი უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე გარე ინვესტორებისთვის.

FDI-ს ეს, უფრო პირადი დონეები, ხშირად შესაძლებელს ხდის გააგზავნონ ფული ოჯახში ბიზნესის დასაარსებლად ან მიწის საყიდლად, რაც დაეხმარება მიმღებს ნაკლებად დამოკიდებული იყოს უცხოეთიდან ფულად გზავნილებზე.

დიასპორის დახმარებით FDI-ს სტიმულირების ერთ-ერთი მეთოდია დიასპორული ობლიგაციების მცირე რაოდენობით გამოცემა. ინდოეთისა და ისრაელის მთავრობებმა ეს გააკეთეს საკმაოდ წარმატებულად და დააგროვეს 40 მილიარდი ამერიკული დოლარი. მაგრამ სხვა ქვეყნების, მაგალითად ეთიოპიისა და ნეპალის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

დიასპორის ობლიგაციებისთვის საჭიროა სწორი მარკეტინგი და რეკლამა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ კონკრეტულ პროექტზე მიმართული ობლიგაციები უფრო წარმატებულია, ვიდრე ზოგად პრობლემებზე ორიენტირებული. უფრო კონკრეტულად, დიასპორის წევრებს თუ განსაზღვრული პროექტები აინტერესებთ, სავარაუდოდ, ისინი ამ მიმართულების ობლიგაციებს შეიძენენ. ამ ტიპის პროექტებში ხშირად ითვალისწინებენ საცხოვრებელს, სკოლებს, საავადმყოფოებსა და სხვა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურულ სარგებელს, რასაც დიასპორის ოჯახებზე პირდაპირი გავლენა ექნება.

ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ შვიდ სუბ-საჰარულ ქვეყანას შეუძლია 10 მილიარდი ამერიკული დოლარის დაგროვება დიასპორული კავშირებით, და რომ FDI-ს გაზრდის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ იმ ქვეყნებს, რომელთაც დიდი დიასპორა ჰყავთ განვითარებულ სახელმწიფოებში.

მართალია, ფულადი გზავნილები თვალსაჩინო და თან უმარტივესად გამოსათვლელ ფინანსურ კავშირს წარმოქმნის ქვეყანასა და მის დიასპორას შორის, მაგრამ არსებობს მრავალი სხვა გზა, რომლითაც უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებს შეუძლიათ დახმარება.

სხვა გზა, რომლითაც ფულად გზავნილებს შეუძლია დაეხმაროს წარმოშობის ქვეყანას, თავს იჩენს საგანგებო ვითარებისას. მაგალითად, იმის შემდეგ, რაც ტაიფუნმა ჰაიანმა გაანადგურა ფილიპინების ნაწილი, ამერიკელებმა ფილიპინელებმა დიდი რაოდენობის თანხა გადარიცხეს ზარალის შესამსუბუქებლად და ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისთვის.

ბოლო დროს გაიზარდა საქველმოქმედო ფონდების რაოდენობა Donor Advised Funds (DAF), რომლებიც დონორებს აწვდიან საზოგადოების მიერ ადმინისტრირებულ ანგარიშებს, სადაც მათ შუაძლიათ გადასახადისგან თავისუფალი შემოწირულობების გადარიცხვა. ამ პროცესში მიგრანტებისთვის დადებითი მხარე არის ის, რომ იღებენ საგადასახადო შეღავათს მათი მიმღები ქვეყნისგან და აქვთ გავლენა წარმოშობის ქვეყანაში დახარჯულ ფულზე, თუ ეს არის DAF-ის მიზანი.

მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში DAF-ებს აქვთ 54 მილიარდი დოლარი. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ამ რიცხვის მხოლოდ მცირე პროცენტია მიმართული დიასპორასა და მათი წარმოშობის ქვეყნისკენ. მომავალში შესაძლებელია მათ ითამაშონ უფრო მნიშვნელოვანი როლი დიასპორის მიერ ფულადი გზავნილების განსაზღვრაში.

არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, ის პირდაპირი, ასევე ირიბი გზები რომლითაც დიასპორას შეუძლია ხელი შეუწყოს ჯვარედინა სასაზღვრო ვაჭრობას. მათ შეუძლიათ იპოვონ თავიანთი ნიშა მიმღებ ქვეყნებში, რათა გაზარდონ წარმოშობის ქვეყნიდან კონკრეტული პროდუქტის რაოდენობა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შესაძლებელია ეკვადორიდან და კენიიდან ვარდების იმპორტირება, ან შეიძლება მიმღებ ქვეყანაში აწარმოონ

პროდუქტი წარმოშობის ქვეყანაში ექსპორტირებისთვის.

უცხოეთში მცხოვრებ ნებისმიერ საზოგადოებას ენატრება გარკვეული „სახლის კომფორტი“, რომელთაგან ყველაზე ნიშანდობლივი საჭმლისა და სასმელის პროდუქტებია. დიდ ბრიტანეთში ათასობით დიასპორაზე ორიენტირებული საჭმლისა და სხვა სახის მაღაზიების ფართოდ გავრცელება, პოლონელი და სხვა ემიგრანტული ჯგუფების ცხოვრების შედეგია. ესენი წარმოადგენენ არა მარტო ახალ საექსპორტო მარკეტს წარმოშობის ქვეყნისთვის, არამედ ორივე მხრიდან სწორი წახალისებით შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს რაოდენობა და გავიდეს მიმღები ქვეყნის ძირითად ბაზარზე.

მარტივად რომ ვთქვათ, ვაჭრობისას ორივე მხარეს სჭირდება სანდო პარტნიორი, ვინც იცნობს და ვისაც ხელი მიუწვდება ბაზარზე. რა არის დიასპორის წევრების დახმარებაზე უკეთესი გზა ამის გასაკეთებლად?

ეთიოპიამ გაიგო საკუთარი დიასპორის მნიშვნელობა. 1970-80-იან წლებში, რევოლუციისგან გამოწვეული კონფლიქტის გამო, ეთიოპია მრავალმა დატოვა, მაგრამ 1990-იანებში ბევრი მათგანი დაბრუნდა სახლში. დღეს სხვადასხვა დონის უნარის მქონე მიგრანტები დასახლდნენ ისევ უცხოეთში. მიგრაციის პროცენტული მაჩვენებელი დაბალია, მაგრამ მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამო, დიასპორის რიცხვი საკმაოდ მაღალია. თუმცა ზუსტი ციფრი უცნობია, მათი რაოდენობა დაახლოებით 2 მილიონს უტოლდება.

2002 წლიდან თავისი დიასპორის წახალისების თვალსაზრისით, ეთიოპია გახდა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ქვეყანა სუბ-საჰარულ აფრიკაში. მან მნიშვნელოვან შედეგს ფართო დიაპაზონის პოლიტიკისა და ინიციატივების მიღებით მიაღწია. სახელმწიფო დიასპორას განიხილავს, უფრო კონკრეტულად კი მისგან მიღებულ ფულად გზავნილებს, როგორც ქვეყნის განვითარების ძირითად რესურსს.

მათ შექმნეს დარგობრივი სამინისტროები და მთელ მსოფლიოში თავიანთ საელჩოებში სპეციალური ერთეულები, რომლებსაც შეუძლიათ მუშაობა ადგილობრივ დიასპორებთან და უზრუნველყოფენ ცენტრალიზებული პოლიტიკის ადგილობრივ ვითარებასთან ადაპტირებას, ამავდროულად, დიასპორიდან მთავრობისთვის უკუგების პროცესს.

უფრო კონკრეტულად, ეთიოპიის მთავრობამ შეიმუშავა მრავალი საშუალება, რათა წაეხალისებინა ფულადი გზავნილები და კონკრეტულ ინვესტიციაზე მიმართულ ფულად გზავნილებთან მიმართებით ხედვა ჩამოეყალიბებინა. ამ პოლიტიკაში შედის:

- „ყვითელი ბარათების“ გამოქვეყნება, რაც აფართოებს დიასპორისთვის არაერთ უფლებას, მათ შორის ვიზის მიღების საჭიროების გაუქმებას, სამუშაო უფლებებს და სხვა, რაც აადვილებს დიასპორისგან FDI-ს
- დიასპორის წევრების მიმართ ადგილობრივების მსგავსი სტატუსით დამოკიდებულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი არ არიან უცხოელებივით შეზღუდული მინიმალური ინვესტიციების განხორციელებისას
- წარმოების საშუალებებსა და სამშენებლო მასალაზე, რომელიც წარმოებისთვის იგზავნება, იმპორტულ საქონელზე დაკისრებული ვალდებულებებისგან გათავისუფლება
- ქვეყანაში დროებით მაცხოვრებლებისთვის საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში
- გამოგზავნის ხარჯების შემცირება
- დიასპორისთვის ობლიგაციების გამოცემა
- საიმპორტო ვალდებულებებისა და სხვა გადასახადებისგან განთავისუფლებისკენ მიმართული, დაბრუნებისთვის აუცილებელი ინიციატივები

ამ ტიპის პოლიტიკა გამოყენებულია მრავალი ქვეყნის მიერ, რათა მაქსიმალურად გაზარდონ ფულადი გზავნილები და FDI.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია სინგაპურის მიერ მიღებული პოლიტიკა. სინგაპური ძალიან მდიდარი ქვეყანაა, რომლის მშპ ერთ

სულ მოსახლეზე 87100 ამერიკული დოლარის ტოლია. მიუხედავად ამისა, მისთვისაც მნიშვნელოვანია, უცხოეთში მყოფ თავის მოქალაქეებთან ახლო კავშირის შედეგად მიღებული სარგებელი. სინგაპურმა ჩამოაყალიბა საუკეთესო სტუდენტების წახალისებისა და ეკონომიკის დარგში უცხოეთში სწავლის დაფინანსების პოლიტიკა. ახლგაზრდები შეიძენენ ცოდნას, რომლითაც ქვეყანაში დაბრუნდებიან. სტუდენტები ვალდებული არიან სინგაპურში დაბრუნდნენ, მინიმუმ შეთანხმებული ვადით სამუშაოდ იმ სფეროში, რომელშიც განათლება მიიღეს. მაგალითად, მეცნიერებასა და ინჟინერიაში. თუ ისინი არ დაბრუნდებიან, სახელმწიფო მათგან მოითხოვს სწავლების საფასურის ანაზღაურებას, საკუთრებაზე უწესებს იპოთეკურ სესხს, ან სხვა დაცვით მექანიზმებს იყენებს.

ეს მაგალითი არ ზრდის დიასპორის ფულად გზავნილებს, მაგრამ უზრუნველყოფს განათლების შემოტანასა და ცოდნის ტრანსფერს სინგაპურის ეკონომიკაში.

ამდაგვარი, მაგრამ ნაკლებად უკიდურესია ბელორუსის მაგალითი, სახელმწიფო ქვეყნის შიგნით ნებისმიერი მსურველისთვის იძლევა უფასო საუნივერსიტეტო განათლებას, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტებმა გარკვეული პერიოდით უნდა იმუშაონ სახელმწიფოსთვის ან სახელმწიფო კომპანიისთვის, რათა „გადაუხადონ“ სახელმწიფოს ვალი. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მარტივია ბელორუსის მსგავსი ქვეყნისთვის, სადაც ეკონომიკის დიდი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია და მის მიერ კონტროლდება.

## საქართველო – ინფორმაცია გაერთიანებული სამეფოს დიასპორიდან

ქართული მიგრაციის გამოცდილება ნორმის მსგავსია, ხალხის უდიდესი ნაწილი წლების განმავლობაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთსა და საბერძნეთში, თუმცა 20.000 ქართველი ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში, რომელთაგან მრავალი სტუდენტია.

საქართველოს მთავრობა განიხილავს საკუთარ დიასპორას, როგორც თავისი ეკონომიკის დიდ მხარდამჭერს, რომელმაც ჯამში, დაახლოებით, ერთი მილიარდი ამერიკული დოლარი გამოაგზავნა ოჯახებში წარმოშობის ქვეყანაში.

მრავალი ქვეყანის მსგავსად, სამუშაო ადგილების სიმცირე, ვალის დონე ან შესაძლებლობების ნაკლებობა გახდა ამ მოქალაქეების საქართველოდან დიდ ბრიტანეთსა ან სხვა ქვეყნებში წასვლის მიზეზი.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მათ შორის ქვემოთ განხილული ორი შემთხვევისა, დიდ ბრიტანეთში ტიპობრივი ქართველი მიგრანტი არის კარგად განათლებული, 30 წელს გადაცილებული ქალი, რომელიც ტოვებს ოჯახის ახლო წევრებს, მათ შორის ბავშვებს. ეს გადასვლა განიხილება როგორც ოჯახის რჩენით გამოწვეული აუცილებლობა.

უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში დაახლოებით ერთმა მილიონმა ადამიანმა დატოვა საქართველო და უკანასკნელ წლებში მიგრაციის დონე იზრდება. ამ მოქალაქეებიდან, რაც არ უნდა იყოს მათი წასვლის მიზეზი, უცხოეთში დამკვიდრების შემდეგ, ძალიან ცოტას აქვს საქართველოში დაბრუნების სურვილი. მათგან შესაძლოა გამოვაცალკევოთ სტუდენტები, რომლებიც შედარებით შეძლებული ქართული ოჯახებიდან მიდიან.

გამოთვლილია, რომ საშუალო ქართველი თავის ოჯახში აგზავნის თავისი შემოსავლის 3-4 პროცენტს, თუმცა ეს ციფრი შესამჩნევად განსხვავდება მიგრანტებს შორის. ამასთან ისინი მუშაობენ ერთად, როგორც საზოგადოება და ეხმარებიან ერთმანეთს, პირადი ურთიერთობის არქონის შემთხვევაშიც კი.

„ქართული საზოგადოება გაერთიანებულ სამეფოში“ არის ძლიერი და განვითარებული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს კარგი ურთიერთობა საქართველოს საელჩოსთან ლონდონში და სწორედ მათი საშუალებით საქართველოს მთავრობას ხშირად აქვს ურთიერთობა გაერთიანებულ სამეფოში თავის მიგრანტებთან და ავითარებს მიგრაციულ პოლიტიკას.

## კვლევა ქვეყნის მიხედვით – სლოვაკეთი

ქვეყნის ეკონომიკაზე მიგრაციის ზეგავლენის უკეთ გასაგებად და საქართველოს პოზიციის უკეთ შესაფასებლად, ხელსაყრელია სხვა ქვეყნის კვლევების დეტალური ანალიზის მოშველიება. პირველი ასეთი ქვეყანაა სლოვაკეთი, რომელიც შეირჩა საქართველოსთან მოსახლეობის მსგავსებისა და იმის გამო, რომ მისი ეკონომიკაც განვითარებადია, რომელიც ისტორიულად იყო საბჭოთა კავშირის გავლენით ჩამოყალიბებული ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკა.

ცხრილი 2. აჩვენებს ორივე ქვეყნის ძირითად ინფორმაციას კონტექსტის უკეთ გასაგებად. გამოყენებული მონაცენები უახლესია და აღებულია CIA World Factbookიდან.

შეგვიძლია თვალსაჩინოდ დავინახოთ, რომ ამ ორი ქვეყნის მოსახლეობისა და საშუალო ასაკის მოქალაქეთა რიცხვი თითქმის ერთნაირია. ცხადია, რომ უმუშევრობა ახალგაზრდებში, 15-დან 24 წლამდელებში ხშირად 3-ჯერ მეტია ჯამური უმუშევრობის რიცხვზე და ეს მაჩვენებელი უფრო ახალგაზრდა მამაკაცებს ეხებათ.

უკანასკნელმა ციფრებმა აჩვენა, რომ არსებობს მიგრანტების ძალიან პატარა ნაკადი, რომელიც ბრუნდება სლოვაკეთში, მაშინ როცა საქართველოს შემთხვევაში ჯერ კიდევ გადინებაა. თუმცა, ყველა დამოუკიდებელი კვლევის აზრით, მიგრაციის ოფიციალური ციფრი უმეტესი ქვეყნების მიგრანტების რეალურ რაოდენობას სწორად არ ასახავს.

ინფორმაციის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სულ მოსახლეზე შედარებით მცირე მშპ-ს უმეტესი ნაწილი მოდის ძირითადი საჭიროებებისთვის აუცილებელი საყოფაცხვორებო ნივთების შეძენაზე.

ტვინის გადინება შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ ქვეყანაში. ეჭვგრეშეა, რომ მიგრაციას განაპირობებს მოქალაქეების არჩევანი, წავიდნენ მძიმე ფინანსური ვითარების გამო, ან ფიქრობენ, რომ უცხოეთში თავიანთი შესაძლებლობის გამოსაყენებლად უკეთესი პირობები ექნებათ.

ცხრილი 2. აჩვენებს ახალგაზრდების უმუშევრობის ძალიან მაღალ დონეს, რაც ფინანსური საჭიროების გამო ხშირადაა მიგრაციის გამომწვევი მთავარი მიზეზი. მეორე მხრივ, თუ მიგრაციის დონე დიდია, შესაძლებელი ხდება ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობის შემცირება, რაც კონკურენციის შემცირების გამო დარჩენილებისთვის სამსახურის პოვნას გაადვილებს.

ამ მხრივ, მიგრაციამ შეიძლება მოუტანოს სარგებელი ქვეყანას მაშინაც, როცა არ ქმნის

**ცხრილი 2.**

**ქვეყნის მონაცემთა შედარება სლოვაკეთი და საქართველო**

| | სლოვაკეთი | საქართველო |
|---|---|---|
| პოპულაცია (მლნ) | 5.4 | 4.9 |
| საშუალო ასაკი | 40 | 38 |
| შრომითი ძალა (მლნ) | 2.72 | 1.96 |
| უმუშევრობა – ჯამი | 9.8% | 12.1% |
| უმუშევრობა – 15 – 24წ. | 29.7% | 35.6% |
| ქსელური მიგრაცია | 0.1/1000 | -2.2/1000 |
| მშპ – სულ მოსახლეზე | $31,200 | $10,100 |
| საყოფაცხოვრებო ნივთებზე დახარჯული | 55.9% | 66.9% |

*წყარო: CIA World Factbook website, 2017*

პროდუქციას/მომსახურებებს ან ეკონომიკას სამუშაოს მძებნელთა მხარდასაჭერად. ამასთანავე, მიგრანტები ფულს უგზავნიან ოჯახებს წარმოშობის ქვეყანაში, რითაც ეხმარებიან მის ეკონომიკას.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, 2016 წელს უცხოეთში მცხოვრებმა და მომუშავე სლოვაკებმა 2 მილიარდი ევრო გამოგზავნეს სლოვაკეთში. ასევე გამოთვლილია, რომ სლოვაკეთის შრომითი ძალის დაახლოებით 7 პროცენტი უცხოეთში პოტენციურად მნიშვნელოვნად მაღალი ანაზღაურების გამო მიდის. სლოვაკეთში ქვეყნის უფრო ღარიბ, უმუშევრობის მაღალი დონის მქონე რეგიონების მოსხლეობას დიდ დახმარებას უწევენ უცხოეთში მომუშავე ოჯახის წევრები.

აღსანიშნავია, რომ სლოვაკეთის და სხვა ქვეყნების მოქალაქეები მიმღებ ქვეყანაში საქმდებიან მშენებლობის, ჯანდაცვისა და მომსახურების სექტორში. მიგრანტების უმეტესობა ახალგაზრდა მამაკაცია. ეს დასაქმებულები არ გრძნობენ თავს ისევე შებოჭილად, როგორც წინა თაობის წარმომადგენლები, მათ აქვთ სამუშაო გამოცდილება ან ცოდნა, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ უცხოეთში, ნაწილობრივ მაინც საუბრობენ უცხო ენაზე. ეს ფაქტორები უზრუნველყოფს შრომის მობილობასა და საერთაშორისო მიგრაციას.

ცხრილი 3. აჩვენებს რომ სლოვაკი მიგრანტების მესამედი 25 – 34 წლისაა. მიგრანტების 44 პროცენტს ჰქონდა მხოლოდ საშუალო

**ცხრილი 3.**

**სლოვაკეთის მიგრაციის სტატისტიკა**

| სლოვაკი მოკლევადიანი მიგრანტების მაჩვენებლები (Q1 2016) | | |
|---|---|---|
| **ასაკობრივი მონაცემი** | | |
| 15-24 | 16.4 | 10% |
| 25-34 | 53.3 | 33% |
| 35-44 | 40.9 | 26% |
| 45-54 | 33.5 | 21% |
| 55 და ზემოთ | 15.7 | 10% |
| **განათლება** | | |
| უნივერსიტეტი ან კოლეჯი | 24.0 | 15% |
| სკოლა | 60.6 | 38% |
| მეორეული პროფესიული განათლება | 70.7 | 44% |
| საწყისი განათლება | 4.5 | 3% |
| **დასაქმების სექტორი** | | |
| წარმოება | 33.9 | 21% |
| ცალობრივი და საბითუმო ვაჭრობა | 8.3 | 5% |
| ტრანსპორტი და სასაწყობე მეურნეობა | 7.1 | 4% |
| სასტუმრო და რესტორანი | 14.7 | 9% |
| ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო | 37.9 | 24% |
| მშენებლობა | 43.7 | 27% |
| და სხვა | 14.3 | 9% |

*წყარო:Postova Banka, 2016*

პროფესიული განათლება, ხოლო 38 პროცენტს- საშუალო სკოლის განათლება.

მიმღებ ქვეყანაში 35-44 წლის მიგრანტებში არსებობს კორელაცია მათ საუნივერსიტეტო ან საკოლეჯო განათლებასა და კვალიფიციურ სამსახურებში მუშაობას შორის. განათლების ნაკლები დონის მეტი მამაკაცი მიგრირებს ვიდრე ქალი, მაგრამ მაღალ დონეზე მამაკაცთა და ქალთა რიცხვი თითქმის ერთნაირია.

სლოვაკების უმეტესობა სამუშაოდ მიგრირებს მოკლევადიანი კონტრაქტით, ამ სამუშაო ვადის ამოწურვის შემდეგ მრავალი მათგანი კვლავ ცდილობს მოკლევადიანი ხელშეკრულების მოპოვებას და იღებს გადაწყვეტილებას აღარ დაბრუნდეს სლოვაკეთში, მიგრირდეს სამუდამოდ. სლოვაკეთის ბიზნესალიანსის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, 2016 წელს სლოვაკი მიგრანტების 7 პროცენტი გეგმავდა მოკლე პერიოდში დაბრუნებას, 33 პროცენტი ფიქრობდა დარჩენას რამდენიმე წლის მანძილზე და ნახევარზე მეტი საერთოდ არ აპირებდა უკან ჩამოსვლას.

ამასთან ერთად, რაც უფრო დიდხანს მუშაობს მიგრანტი უცხოეთში, თუნდაც რიგი მოკლევადიანი კონტრაქტებით, მით უფრო მცირდება მისი სახლში დაბრუნების შესაძლებლობა, ნებისმიერი კონტრაქტის დასრულების შემდეგ.

უცხოეთში სასწავლებლად წასულთაგან მხოლოდ 30 პროცენტს სურდა სლოვაკეთში დაბრუნება. ეს ციფრი საგრძნობლად, 46 პროცენტამდე გაიზარდა დაბრუნების შემთხვევაში შემოსავლის გაზრდის შეთავაზებისას.

იმის შემდეგ, რაც ბოლო 13 წელიწადში ევროკავშირს შეუერთდა 15 განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანა, აღინიშნება იმ მიგრანტების რიცხვის განგრძობითი ზრდა, ვინც უცხოეთში უფრო მაღალი ხელფასისთვის მიდის. ეს ფენომენი ნაჩვენებია, როგორც ზოგადი ზრდის ტენდენცია, დიაგრამა 5.-ზე წარმოდგენილი მრავალი ქვეყნის მაგალითზე.

სლოვაკეთის ბიზნესალიანსის აზრით, გამოსავალია სლოვაკეთში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, რაც გამოიწვევს დასაქმებისა და ხელფასების გაზრდას. აღნიშნული თვალსაზრისი გაიზიარეს დამსაქმებელთა ნაციონალურმა კავშირმა და დამსაქმებელთა ასოციაციების ფედერაციამ. ეს შეამცირებდა წასვლის მსურველთა რაოდენობას და წაახალისებდა წასულებს დასაბრუნებლად. თუმცა ბიზნესალიანსი ცნობს, რომ შრომის დაბალი ფასი იყო სლოვაკეთში მანქანების მწარმოებლების და სხვა წყაროების მიერ ჩადებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზეზი. აქედან გამომდინარე, მხოლოდ უფრო ეფექტური მეთოდები გახდიან ამ მიზანს შესაძლებელს.

ზემო აღნიშნულთან ერთად, მთავრობა და სლოვაკეთის სხვა ინსტიტუციები მიგრანტების დაბრუნების წასახალისებლად იწყებენ სხვადასხვა გეგმის დაფინანსებას. 2015 წელს დაწყებული ერთი-ერთი ასეთი გეგმის ფარგლებში, უცხოეთში დაგროვილი ცოდნით სახელმწიფო ადმინისტრაციაში ან სახელწიფო უნივერსიტეტებში სამუშაოდ დაბრუნებულ ექსპერტებს გამოცდილებისა და სტატუსის ხარისხის მიხედვით შეეძლოთ მაქსიმუმ 50 000 ევროს ღირებულების ერთჯერადი გრანტის მიღება. არსებობს გარკვეული შეზღუდვები და ეს გეგმაც ამჟამად ნაკლებად წარმატებულია მაგრამ ის აჩვენებს მთავრობის მცდელობას იპოვოს ახალი იდეები მიგრანტების სახლში დაბრუნების გზით ტვინის შემოდინების წასახალისებლად. მოლოდინებთან შედარებით პროგრამა საკმაოდ შეზღუდულია და გაცემული მხოლოდ 8 გრანტი ამ ეტაპზე დაგეგმილი 27-ის ნაცვლად.

სლოვაკეთის მთავრობა წახალისებულია ირლანდიის გამოცდილებით, რომელმაც გამოსცადა მიგრაციის მაღალი დონე რთულ ეკონომიკურ პერიოდში და მიგრანტების დაბრუნება, როცა ეკონომიკა გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანია მათ მიერ იმის აღნიშვნა, რომ ირალნდიის მთავრობა რჩებოდა აქტიური თავის დიასპორასთან კავშირის შესანარჩუნებლად.

საინტერესოა, რომ სლოვაკეთის მთავრობა ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზეც, რომ ეკონომიკის გაუმჯობესების შემთხვევაში წაახალისებს მიგრაციას იმ ქვეყნებიდან, რომელთა მოქალაქეებსაც სლოვაკეთი შესთავაზებს მეტ შესაძლებლობებს, ვიდრე საკუთარი ქვეყანა.

**დიაგრამა 5.**

**სლოვაკი მუშახელის გადინება EU15 ქვეყნებში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე)**




## კვლევა ქვეყნის მიხედვით – პოლონეთი

თუმცა პოლონეთი ბევრად უფრო დიდია საქართველოსა და სლოვაკეთზე, 38.5 მილიონიანი მოსახლეობით, ამის მიუხედავად ის არის განვითარებადი ეკონომიკა, რომელიც გადის იმავე პროცესებს ბოლო სამი ათწლეულია, რასაც საქართველო და სლოვაკეთი. აქედან გამომდინარე პოლინეთის გამოცდილების გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია.

2004 წლის მაისში EU8 (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა) შეუერთდნენ ევროკავშირს რასაც მოყვა 2007 წელს EU2-ის (ბულგარეთი და რუმინეთი) მიღება, თუმცა ბოლო ორის შემთხვევაში ევროკავშირის სხვა ქვეყნებში სამუშაოდ 2014 წლამდე საჭირო იყო შრომითი ვიზა.

სასაზღვრო კონტროლის შემსუბუქების, ვიზისა და სამუშაო ნებართვის საჭიროების მოხსნის შემდეგ მიგრანტების რაოდენობა პოლონეთიდან და სხვა ახალმიერთებული ქვეყნებიდან EU15-ის ქვეყნებში საგრძნობლად გაიზარდა, რაც ნაჩნევებია დიაგრამა 6.-ზე.

2004 წელს ამ ქვეყნებიდან მიგრანტების რაოდენობა EU15-ში იყო 1.1 მილიონი, ხოლო

**დიაგრამა 6.**




საიმიგრაციო ქსელის დინების პროცენტები EU8 და EU2 ქვეყნებიდან EU15 ქვეყნებში

*წყარო: Holland et al. 2011: 50 (based on the EU LFS data).*

2014 წლისთვის ეს რიცხვი გაიზარდა 6.1 მილიონამდე. დიაგრამა 6. აჩვენებს მიგრაციას მოსახლეობის პროცენტის მიხედვით, მაგრამ რადგან პოლონეთის მოსახლეობა სხვა EU8-ის ქვეყნებზე ერთად აღებულზე მეტია, გამოდის რომ ამ მიგრანტების უმეტესობა, მაგალითად ისეთ ქვეყნებში როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, იყო პოლონელი.

გაეროს გამოთვლებით, 2015 წელს იყო 4.4 მილიონი პოლონელი მიგრანტი, რაც წარმოადგენდა მოსახლეობის 11.5 პროცენტს. აქედან გამომდინარე, პოლონელების მეტი პროცენტი მიგრირდა ვიდრე სლოვაკებისა.

სავარაუდოდ, ყველაზე აშკარად ამ დიაგრამაზე წარმოშობისა და მიმღებ ქვეყნებს შორის პერსპექტივებისა და ეკონომიკების მსგავსების დანახვა შეიძლება. 2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგად უფრო განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკა და პერსპექტივები გაუარესდნენ და მრავალი მიგრანტი დაბრუნდა სახლში.

მოსახლეობის ნაწილი მიმღებ ქვეყანაში მიიჩნევს რომ მიგრანტები ჩამოდიან უკეთესი სოციალური დაცვის გამოყენების მიზნით, მაგრამ რეალურად პოლონელი მიგრანტების 90 პროცენტზე მეტმა მიმღებ ქვეყანაში დაიკავა შემოსავლიანი სამსახური. ცხრილი 4. ამახვილებს ყურადღებას EU15-ის ზოგიერთ ქვეყნებში მცხოვრები პოლონელი მიგრანტების დარჩენის ხანგრძლივობაზე, განათლების დონესა და ასაკობრივ დიაპაზონზე.

როგორც სლოვაკების შემთხვევაში, პოლონელი მიგრანტების უმეტესობის ასაკი 25-34 წელია მაგრამ, არსებობს შესამჩნევი განსხვავება სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის მიმზიდველ ქვეყნებს შორის, რაც დამოკიდებულია სამუშაოებსა და მოთხოვნილ უნარებზე. ყველა შემთხვევაში შესამჩნევია, რომ პოლონელი მიგრანტები უფრო დიდი ხნით რჩებიან მიმღებ ქვეყანაში და უკანასკნელ წლებში მკვეთრი შემცირება მხოლოდ მოკლე ხნიან მიგრაციის მაჩვენებელშია.

მაგრამ, ყველაზე საინტერესო არის საუნივერსიტეტო განათლების მქონე მიგრანტების პროცენტის შემცირება, რაც გამოწვეულია ეკონომიკის გაუმჯობესებასთან ერთად განათლებული მიგრანტების პოლონეთში დაბრუნებით.

ამ დიაგრამაზე არ არის ნაჩვენები ის ფაქტი, რომ როცა მრავალი პოლონელი მიგრირებს უცხოეთში უკეთესი შემოსავლისა და პერსპექტივისთვის, ამავე მიზეზებით მრავალი უკრაინელი მიგრირდა პოლონეთში. ეს ასახავს სლოვაკეთის კვლევაში აღნიშნულ მთავრობის

**ცხრილი 4.**

**პოლონური მიგრაციის შერჩეული მახასიათებლები (Source: Janicka and Kaczmarczyk, 2016, based National Bank of Poland data)**

| კატეგორია | ნიდერლანდები | ირლანდია | გერმანია | გაერთიანებული სამრფო |
|---|---|---|---|---|
| | 2009/2012 | 2009/2012 | 2009/2012 | 2009/2012 |
| **დარჩენის ხანგრძლივობა თვეები** | 34/52 | 36/68 | 65/95 | 42/61 |
| **36 თვეზე ნაკლები დარჩენის %** | 70/45 | 69/10 | 54/31 | 52/24 |
| **12 თვეზე ნალები დარჩენის %** | 28/7 | 24/1 | 25/5 | 21/3 |
| **25-34 წლის მიგრანტების %** | 36/43 | 48/60 | 32/28 | 46/51 |
| **უნივერსიტეტის განათლების მქონე %** | 41/23 | 37/31 | 49/24 | 40/30 |

განცხადებას, რომლის მიხედვითაც მათი ეკონომიკის გაუმჯობესებით წაახალისებენ იმიგრაციას სხვა ქვეყნებიდან.

როცა მიგრაციის დონე შეზღუდულია, შეზღუდულია ნებისმიერი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დიაგრამა 7. ადარებს პოლონეთს რეგიონის სხვა ოთხ ქვეყანასთან და აჩვენებს როგორი გავლენა იქონია მიგრაციამ მშპ-ზე, მშპ-ზე სული მოსახლის მიხედვით, გადასახადებსა და უმუშევრობაზე მოკლე და გრძელვადიან პერიოდებში. თუმცა, როცა მიგრაციის დონე ძალიან იზრდება მას აქვს საკმაოდ დიდი გავლენა, როგორც ვნახეთ ევროკავშირში შესვლიდან 13 წელში პოლონეთისა და EU10 ქვეყნების შემთხვევაში.

ნათელია რომ მიგრაციის გავლენები უფრო ღრმაა მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ დროსთან ერთად რეგულირდება, სავარაუდოდ წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად.

**დიაგრამა 7.**




მიგრაციის მოკლე და გრძელვადიანი შედეგები პოლონეთსა და სხვა benchmark ქვეყნებზე, 2004-2007

*წყარო:* Kaczmarczyk et al. 2016.

საინტერესოა, რომ მშპ სულ მოსახლეზე და ხელფასები იზრდება მოკლე პერიოდში უმუშევრობის შემცირების გამო, მაგრამ დროსთან ერთად ახალი ბალანსი დგება.

## კვლევა რეგიონის მიხედვით – აზია

ეს ნაშეომი იზოლირებულად განიხილავდა ინდივიდუალურ ქვეყნებს, მაგრამ იმიგრაციისა და ემიგრაციის მიზეზების, წარმოშობის და მიმღებ ქვეყნებზე გავლენის უკეთ გასაგებად ხელსაყრელია ის განვიხილოთ უფრო ფართო, რეგიონული პერსპექტივიდან.

აზია სახლია მსოფლიოს ნახევარი მოსახლეობისთვის, მაგრამ საკუთარი ემიგრანტების მხოლოდ 34 პროცენტის და საკუთარი მიგრანტების 17 პროცენტის წყაროა. ამასთან ერთად, მათგან უმეტესობა რჩება რეგიონის შიგნით, რადგანაც ხშირად მიდიან მეზობელ ქვეყანაში ან, ჩინეთის შემთხვევაში, ხშირად მიგრირებენ საკუთარი ქვეყნის შიგნით.

ამ შრომითი ნაკადის უმეტესი ნაწილი არალეგალურია, რომლისკენაც არც წარმოშობის და არც მიმღები ქვეყანა არ მოუწოდებს მოსახლეობას. მართალია ეს ჩაკეტილი მიდგომა ნათლად აზიანებს ორივე ქვეყნის ეკონომიკასა და პერსპექტივას, თუმცა არსებობს სხვა მიზეზებიც.

სურათი 3. გვიჩვენებს რეგიონის იმ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ მეტი სამსახური ვიდრე მომსახურე და სჭირდებათ მიგრანტები (ნაჩვენებია სტაფილოსფერში) და ქვეყნები რომლებსაც ჰყავთ მეტი მუშახელი და ისარგებლებდნენ მომსახურეების უცხოეთში წასვლითა და მათ მიერ ფულის უკან, სახლში გამოგზავნით (ნაჩვენებია ცისფერში).

რიცხვების მიხედვით, 2030 წლისთვის მომუშავე მოსახლეობის ასაკის სტაბილურო-

**სურათი 3.**

**რეგიონული მიგრაცია: რატომ არის ის აუცილებელი (წყარო:The Economist, 2017)**



ბის შესანარჩუნებლად, აღმოსავლეთ აზიას მოუწევს 15-დან 64 წლამდე 275 მილიონი ადამიანის იმპორტირება, მაშინ როცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას მოუწევს 9.5 მილიონი ადამიანის მიზიდვა. როგორც რუკიდან ვხედავთ ეს ციფრები ნიღბავენ ქვეყნებს შორის დიდ უთანასწორობას. სინგაპურს, მალაიზიას, ვიეტნამსა და განსაკუთრებით ტაილანდს სჭირდებათ მუშახელი, მაშინ როცა მიანმარს, ინდონეზიას და ფილიპინებს ჰყავს ზედმეტად ბევრი. ამ დროს სამხრეთ აზიას შეუძლია 134 მილიონი მომუშავის გაცემა დამოკიდებულების კოეფიციენტის გაუარესების გარეშე. მხოლოდ ინდოეთს შეუძლია 80 მილიონი მოქალაქის გაშვება უცხოეთში.

ზოგიერთი ქვეყანა რეგიონში რჩება წინააღმდეგი იმიგრანტების შემოსვლის ან მიგრანტების გაშვების, მაშინ როცა ზოგიერთმა სრულად აღიქვა მათი სარგებელი და წაახალისეს კონკრეტული სიტუაციის მიხედვით პოლიტიკის განვითარებით. მაგალითად, სინგაპურის შრომითი ძალის 40 პროცენტი არიან იმიგრანტები; ჰონგ კონგმა წაახალისა ექთნების, ძიძების და სახლის მოსამსახურეების იმიგრაცია.

ჯერ კიდევ 1974 წელს ჰონგ კონგმა წარმოადგინა გეგმა თავის ქვეყანაში სახლის მოსამსახურეთა წასახალისებლად და ეს დაემთხვა იმ წელს როცა ფილიპინებმა მიიღეს საკუთარი მოქალაქეებისთვის სამსახურის უცხოეთში პოვნის პოლიტიკა. ფილიპინების შემთხვევა ზემოთაც იყო განხილული, მაგრამ ამ ორი ხელშემწყობი პოლიტიკით ჰონგ კონგმა მიიღო 340 000 სახლის მომსახურე, რომელთაგან ნახევარზე მეტი იყო ფილიპინელი. ხელფასები ამ სამსახურებზე ჰონგ კონგის სტანდარტებით იყო დაბალი, მაგრამ ფილიპინების სტანდარტებით მაღალი, რამაც მომუშავეებს მისცა ფულის გადაგზავნის შესაძლებლობა სახლებში ფილიპინებზე.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავინახოთ, რომ შრომოთი მობილობისაგან ყვლაზე მეტს მიიღებს იმ ქვეყნების ეკონომიკა, რომლებიც აქტიურად ქმნიან პოლიტიკას, მუშაობენ თავიანთ დიასპორასთან და ახალისებენ კიდეც მიგრაციას გარკვეულ შემთხვევებში.

## დასკვნები

უკანასკნელ წლებში დიასპორასთან კონტაქტის შენარჩუნების მნიშვნელობის მკვეთრად ზრდამ გამოიწვია მეტი ხელმისაწვდომობა დონორების მიერ ფინანსირებაზე, მეტი პროფესიონალური ინსტიტუციის მიერ დაკვირვება პრობლემებსა და შესაძლებლობებზე, წარმოშობის ქვეყნისა და დიასპორისთვის საუკეთესო შედეგების მომტან ჩართულობის გზებზე.

ამ ორმა ფაქტორმა მკვეთრად გაზარდა დიასპორული პოლიტიკის მქონე და პოლიტიკის მასშტაბების გაზრდის მსურველი ქვეყნების რაოდენობა, ან იმ ქყენების რომლებმაც პირველად ჩამოაყალიბეს და მიიღეს ეს პოლიტიკა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ცხადია რომ ეს გლობალური ფენომენია და არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონისა თუ კონტინენტის დამახასიათებელი. თან ეს არ ხდება მხოლოდ ღარიბ ქვეყნებში, რადგანაც მსოფლიოს მდიდარი ქვეყნებიც ავითარებენ ძლიერ კავშირებს თავიანთ დიასპორასთან და მასშტაბურ დიასპორულ პოლიტიკას.

თუმცა დიასპორული პოლიტიკა იყოფა სამ განსხვავებულ სეგმენტად და ესენია: tapping, embracing, governing – ყველა ქვეყნის პოლიტიკა მათი ნაზავია და შედგენილია საკუთარი საჭიროებების მიხედვით. მაგალითად მდიდარმა ქვეყნებმა ღარიბი ქვეყნებისგან განსხვავებით შეიძლება გაამახვილონ ყურადღება არა ფულად გზავნილებზე, არამედ სხვა ასპექტებზე.

ყველა კვლევა და ისეთი ინსტიტუციები როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და გაერო თანხმდებიან, რომ დიასპორის ფულადი გზავნილები წარმოშობის ქვეყანაში არის მნიშვნელოვანი და ღარიბი ქვეყნების შემთხვევაში გადამწყვეტი ეკონომიკის განვითარებისთვის. ამასთან ერთად, ფულადი გზავნილების დონე წლიდან წლამდე მატულობს და მოსალოდნელია კვლავ ზრდა.

წარმოშობის ქვეყანაში მიღებული ფულის რაოდენობა არა მარტო ეხმარება მიმღებს, არამედ აუმჯობესებს ადგილობრივ და

მთელი ქვეყნის ეკონომიკას. ხოლო ფულის ცირკულაციის გამამრავლებელი ეფექტის წყალობით, რაოდენობრივი ეფექტი შეიძლება მიღებულზე მეტი იყოს. ისიც კი, რაც ჩანს წმინდა მომხმარებლობად შეიძლება იყოს ბიზნეს ინვესტიცია.

ამ მიზეზების გამო მრავალმა ქვეყანამ განავითარა ფართო მაშტაბიანი და ინოვაციური პოლიტიკა დიასპორისგან ფულადი გზავნილების წასახალისებლად. პოლიტიკამ შეიძლება მიიღოს შემცირებული გადასახადებისა და ბიუროკრატიის, საინვესტიციო ინიციატივების, საკუთარი მოქალაქეებისთვის უცხოეთში სამსახურის შოვნის დასახმარებლად პირდაპირი ჩართულობის ფორმა.

ჩვენ ვნახეთ, რომ გზავნილები შეიძლება იყოს მრავალი ფორმის და მრავალი გზით შეიძლება მათი წახალისება და ორიენტირებულ პოლიტიკას მართლაც შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ზეგავლენა მიღებული გზავნილების სიდიდეზე.

ფულად გზავნილებთან ერთად, ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობს სხვა გზებიც, რომლებითაც დიასპორას შეუძლია გავლენა იქონიოს წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკაზე, მათ შორის ვაჭრობის გაზრდა, FDI-ს წახალისება, განათლებისა და უნარების გადაცემა და კიდევ მრავალი სხვა.

მართლაც, მარტივია იმის დანახვა, რომ სწორი პოლიტიკით პოტენციური „ტვინის გადინება“ და ადამიანური რესურსების ნაკლებობა შეიძლება შეიცვალოს წარმოშობის ქვეყნისთვის სასიკეთოდ.

წარმოებული კვლევიდან გამოსატანი ძირითადი დასკვნა არის ის, რომ ყოველ ქვეყანას სრულად უნდა ესმოდეს საკუთარი დიასპორის და განავითაროს კარგი ორმხრივი ურთიერთობა. ეს არის პირველი ნაბიჯი ფართო მასშტაბიანი კავშირების და იმ პოლიტიკის განვითარებაში რომელიც მოიცავს tapping, embracing, governing, თუმცა გამოცდილება აჩვენებს, რომ უკეთესი შედეგები პირველ ორზე კონცენტრირებას მოყვება.

წარმატებული პოლიტიკა დიასპორას დაეხმარება წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და რაც უფრო მეტად იქნება წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკა და პოლიტიკა სტაბილური, მით უფრო სავარაუდო იქნება მიგრანტების დაბრუნება. მეორე თაობის მიგრანტების მშობლების წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების არაერთი მაგალითია. თუმცა ეკონომიკურ პროგრესს დრო სჭირდება, მას შეუძლია ამ დივიდენდების გადახდა.

ამასთან ერთად, რაც უფრო ძლიერია ეკონომიკა, ხოლო ლეგალური და იურიდიული სისტემები გამჭვირვალე, მით უფრო სავარაუდოა FDI-სა და იმიგრანტების მოზიდვა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება შეჯამება, რომ მიგრაციას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკაზე და მართლაც, შესაძლებელია უდიდესი გავლენა მოახდინოს დიასპორის წევრების მიერ ოჯახებში ფულადმა გზავნილებმა.

იგნორირების ან ვერ გამკლავების შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყანამ ტვინის გადინებით იზარალოს და ეკონომიკაზე ცუდად აისახოს ემიგრაცია, მითუმეტეს თუ ჩართული ადამიანების რიცხვი მაღალია. თუმცა ეკონომიკაზე მიგრაციის დადებითი გავლენის უზრუნველყოფა წარმოშობის ქვეყნის მთავრობის შესაძლებლობის ფარგლებშია პროაქტიულობით და დიასპორასთან დაკავშირებული პოლიტიკის განვითარებით.

ქვეყნის შრომითი ქსელი „იმპორტია“ თუ „ექსპორტი“ ორივე შემთხვევაში სასარგებლოა პროაქტიულობა და როგორც იმიგრაციის, ასევე ემიგრაციის მომცველი სახემლწიფო პოლიტიკის განვითარება. ეკონოიკისთვის საუკეთესო შედეგის მისაღწევად წარმოშობის ქვეყნებმა აქტიურად უნდა შეინარჩუნონ ახლო ურთიერთობები თავიანთ დიასპორებთან.

## რეკომენდაციები

რეკომენდაციები გაცემულია მიღებული დასკვნებისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე:

- დიასპორის შესახებ რაც შეიძლება მეტი, არა მხოლოდ წმინდა სტატისტიკური, არა-

მედ უფრო დეტალური, ინდივიდუალური დონის ინფორმაციის მოძიება სრულყოფილი ცოდნის მისაღებად.

- დეტალური ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩართვა დიასპორასთან მრავალი არხით და ასევე იმ ქვეყნებთან სადაც მიგრანტი მოსახლეობის დონე მაღალია და/ან ქვეყანას აქვს საელჩო.

- კარგი ორმხრივი დიალოგის უზრუნველყოფა რათა მთავრობას ესმოდეს დიასპორის სურვილები, საჭიროებები და დიასპორა იყოს ინფორმირებული წარმოშობის ქვეყნის ნებისმიერ მოქმედებაზე, შემოთავაზებებზე, საინვესტიციო შესაძლებლობებზე და სხვა მრავალ ინიციატივაზე.

- სამთავრობო დონეზე უნდა შეიქმნას ცენტრი რათა დიასპორის მნიშვნელობა იყოს ცხადი და სხვა სამინისტროებთან ერთად კოორდინირებული მიდგომა უზრუნველყოფილი.

- შეიქმნას წარმოშობის ქვეყანასა და მის მიგრანტებს მორგებული კარგად ნაფიქრი პოლიტიკა, რომელმაც უნდა გაამახვილოს ყურადღება ყველანაირი ფორმის ფულადი გზავნილების წახალისების, ორმხრივი ვაჭრობის დახმარების, წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში უცხოეთში მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობის წახალისების გზებზე.

- სადაც შესაძლებელია, წარმოშობის ქვეყანას სრულად უნდა ესმოდეს დიდი გავლენა, რომელიც ძლიერი ლეგალური და დამოუკიდებელი იურიდიული სისტემის მქონე სტაბილურ და სანდო მთავრობას, შეუძლია ჰქონდეს წარმოშობის ქვეყანასთან დიასპორის მთლიანად ჩართვის სურვილზე.

- კარგად განვითარებული, სანდო და გამჭვირვალე ფინანსური სექტორი გადამწყვეტია ფულადი გზავნილების წასახალისებლად, ასევე იმ გავლენის გასაზრდელად რომელიც შეიძლება ჰქონდეს დიასპორას ეკონომიკაზე.

- საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნული ორი აზრი შესაძლებლობას მისცემს მთავრობას რომ წარმოადგინოს და აწარმოოს უფრო ფართო პოლიტიკა, რომელიც განავითარებს ეკონომიკას როგორც მთელს, რაც გამოიწვევს ხელფასების გაზრდასა და მეტ შესაძლებლობებს დარჩენილი მოსახლეობისთვის. ეს გარემო თავის მხრივ გაზრდის პირველი და მეორე თაობების მიგრანტების დაბრუნების შანსებს და ასევე წაახალისებს იმიგრაციას სხვა ქვეყნებიდან

რეკომენდაციების გამოყენებას დრო სჭირდება, მაგრამ მათ უნდა უზრუნველყონ ხედვა რომ მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე არის დადებითი როგორც მოკლე ასევე გრძელვადიან პერსპაქტივაში.